# საქართველოს პრემიერ-მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№342 2009 წლის 24 ნოემბერი ქ. თბილისი

## სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგიის (სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის) დამტკიცების შესახებ

„სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 4 ნოემბრის №203 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს თანდართული სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგია (სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის).

ნიკა გილაური

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2009 წლის 24 ნოემბრის
№ 302 ბრძანების
დანართი

# სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგია

## (სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის)

| |
|---|
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები. |
| |
| |
| დაფინანსების ახალი წესის პილოტირება |
| |
| დაფინანსების მოდელის პილოტირება და შეფასება |
| |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 3.1.6. სახელობო განათლებისა და მომზადების სექტორის შესახებ კვლევების წახალისება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და არასამთავრობო, კვლევით ორგანიზაციებში და ამ პროექტებში პროფესიული სწავლების ცენტრების ჩართვის ხელშეწყობა | | | არსებობს სულ მცირე 2 კვლევითი პროექტი პროფესიულ განათლებაში | | დონორი ორგანიზაციები |
| პრიორიტეტული მიმართულება 3.2 - სახელობო განათლებისა და მომზადების ეფექტიანი დაფინანსების მექანიზმების შექმნა და ამოქმედება | 3.2.1. პროფესიული სწავლების ცენტრებში სტუდენტების მიღებისა და დაფინანსების წესის შემუშავება და ამოქმედება | | | | | |
| | სახელობო განათლების მსურველთა მიღებისა და დაფინანსების კონცეფციის შემუშავება | | სახელობო განათლების მსურველთა მიღებისა და დაფინანსების კონცეფცია | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დონორი ორგანიზაციები |
| | მოთხოვნად სახელობო პროფესიებში განათლებისა და მომზადების ღირებულების გამოთვლა | | ფინანსური ნორმატივის გამოთვლა სულ მცირე 50 სპეციალობისათვის | ფინანსური ნორმატივის გამოთვლა სულ მცირე 50 სპეციალობისათვის | ფინანსური ნორმატივის გამოთვლა სულ მცირე 50 სპეციალობისათვის | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები |



# ს ა რ ჩ ე ვ ი


სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგიის მიზნები ... 3

სტრატეგიის ძირითადი პრინციპები ... 5

სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის დღევანდელი გამოწვევები ... 8

სტრატეგიის ამოცანები ... 13

ამოცანა 1: სახელობო განათლებისა და მომზადების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოქალაქეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ... 13

პრიორიტეტული მიმართულება 1.1 – სახელობო განათლებისა და მომზადების პროგრამების დანერგვა სტუდენტებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ... 15

პრიორიტეტული მიმართულება 1.2 - სახელობო განათლებაში არსებული საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის გზების ძიება და შესაბამისი მექანიზმების დანერგვა ... 15

პრიორიტეტული მიმართულება 1.3 – სახელობო განათლებისა და მომზადების ხელმისაწვდომობისა და მასში მონაწილეების რაოდენობის გაზრდა ... 16

პრიორიტეტული მიმართულება 1.4 - წინმსწრები განათლების აღიარების მექანიზმის შემუშავება ... 19

ამოცანა 2: სახელობო განათლებისა და მომზადების ხარისხის უზრუნველყოფა ... 20

პრიორიტეტული მიმართულება 2.1 - სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ინსტიტუციური, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა ... 21

პრიორიტეტული მიმართულება 2.2 - სოციალური პარტნიორობის მექანიზმების ჩამოყალიბება რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის მიზნით ... 23

პრიორიტეტული მიმართულება 2.3 - ეროვნულ პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შემუშავება ... 24

პრიორიტეტული მიმართულება 2.4 - ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და სტუდენტზე ორიენტირებული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და სწავლების სტრატეგიები ... 25

პრიორიტეტული მიმართულება 2.5 სახელობო განათლებისა და მომზადების ხარისხის შეფასებისა და ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვა ... 26

ამოცანა 3: თანამონაწილეობის პრინციპზე დაფუძნებული სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის მართვისა და ეფექტიანი და სამართლიანი დაფინანსების მოდელის ჩამოყალიბება ... 27

პრიორიტეტული მიმართულება 3.1 - სახელობო განათლებისა და მომზადების სოციალური პარტნიორობის პრინციპზე დაფუძნებული მართვის მექანიზმების შექმნა და ამოქმედება ... 28

პრიორიტეტული მიმართულება 3.2 - სახელობო განათლებისა და მომზადების ეფექტიანი დაფინანსების მექანიზმების შექმნა და ამოქმედება ... 31

მიღწევების შედეგები 2012 წლის ბოლოსათვის ... 33

## სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგიის მიზნები

სახელობო განათლების რეფორმის სტრატეგიის (სახელობო განათლებისა და მომზადების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის) (შემდგომში – სტრატეგია) მიზნებია:

ა) კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებისათვის;

ბ) სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის დაახლოება და ჰარმონიზაცია ერთიან ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან;

გ) პიროვნების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა;

დ) ადამიანების სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

ითვალისწინებს რა კვალიფიციური კადრების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ევროკავშირთან საქართველოს სამეზობლო პოლიტიკის მიზნებს, სტრატეგია იზიარებს 2000 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული მემორანდუმის „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში"[1] პრინციპებს.

სახელობო განათლებისა და მომზადების ახალი სისტემის არსებობის პირობებში საგრძნობლად გაიზრდება პროფესიული სწავლების ცენტრების დამოუკიდებლობის ხარისხი, გაფართოვდება მათი ფუნქციები, განმტკიცდება/გაფართოვდება ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება სახელობო განათლებისა და მომზადების სფეროში კერძო სექტორის როლის გაზრდისაკენ.

[1] A Memorandum on Lifelong Learning. Commission Staff Working Paper. Brussels, 2000. SEC(2000) 1832





| | | |
|---|---|---|
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | [illegible] | [illegible] MoES |
| [illegible] 2011 წლის [illegible] | [illegible] EMIS-ის [illegible] | [illegible] |
| [illegible] 2010 წლის [illegible] | [illegible] EMIS-ის [illegible] | [illegible] |
| [illegible] 2009 წლის [illegible] | | [illegible] |
| | | |
| [illegible] | [illegible] EMIS-ის [illegible] | [illegible] |
| | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პროფესიული განვითარების ცენტრი, სსიპ – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი) ინსტიტუციური განვითარება | | | | | ცენტრი, სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, დონორი ორგანიზაციები |
| | 3.1.5. სახელობო განათლებისა და მომზადების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება | | | | | |
| | სახელობო განათლებისა და მომზადების მონიტორინგის მექანიზმების ფორმირება | | არსებობს მონიტორინგის კონცეფცია | | | MoES, დონორი ორგანიზაციები |
| | სახელობო განათლებისა და მომზადების სფეროს მმართველობითი გადაწყვეტილებების საინფორმაციო უზრუნველყოფა. სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიის შემუშავება | | სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია | | | დონორი ორგანიზაციები |



აღნიშნულ პროცესებს სოციალური მნიშვნელობაც ენიჭებათ. სტრატეგიის მიხედვით, სახელობო განათლება და მომზადება მიჩნეულია არა მხოლოდ დასაქმების საშუალებად, არამედ ადამიანის სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის საფუძვლადაც, ვინაიდან მოქალაქის კეთილდღეობისათვის წარმატებული პროფესიული კარიერა აუცილებელია.

სახელმწიფო ხელს შეუწყობს სახელობო განათლებასა და მომზადებაში საკუთრების სხვადასხვა ფორმის საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნას, ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალური (მათ შორის, ინფორმალური) განათლების განვითარებას (მათ შორის, ზრდასრულებისთვის), შექმნის მათი აღიარების მექანიზმებს. ამასთან, წინამდებარე დოკუმენტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სახელობო განათლებისა და მომზადების ორგანიზება-ფუნქციონირება არ განეკუთვნება მხოლოდ ერთი სახელმწიფო დაწესებულების კომპეტენციას. სახელობო განათლება და მომზადება არის სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულებათა, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, საგანმანათლებლო დაწესებულებათა (განათლების პროვაიდერთა), მოსწავლეებისა და მათი მშობლების, მასწავლებელ-ინსტრუქტორთა და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების მუდმივი თანამშრომლობის საგანი.

წინამდებარე სტრატეგია შესაბამისობაშია ასევე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა „ევროკავშირი - საქართველოს“ მიზნებთან, რომელიც ითვალისწინებს ქართული საგანმანათლებლო სივრცის ჰარმონიზაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან და მის ძირითად პრინციპებს – მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების შესაძლებლობის მინიჭებას თითოეული მოქალაქისათვის, სახელობო განათლების ადაპტირებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, სოციალურ პარტნიორთა და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით.

## სტრატეგიის ძირითადი პრინციპები

სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის მიზნიდან გამომდინარე, წინამდებარე სტრატეგია ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში – პროფესიულ კვალიფიკაციათა მოქნილი და ადვილად გასაგები სისტემა, წინმსწრები განათლების აღიარების სისტემა, უცხო ქვეყანაში მიღებული სახელობო განათლების კვალიფიკაციების აღიარების სისტემა, პროფესიულ სტუდენტზე (შემდგომში – სტუდენტი) ორიენტირებული სწავლების სხვადასხვა ფორმა (როდესაც საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი და ხანგრძლივობა სტუდენტის საჭიროებებზეა მორგებული, შესაძლებელია სტუდენტთა ჰორიზონტალური და ვერტიკალური მობილობა), სისტემის გახსნა ყველა ასაკის სტუდენტისათვის, პროფესიული ორიენტაციის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული განვითარების საკონსულტაციო სისტემა უზრუნველყოფს „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში" პრინციპების რეალიზების წინაპირობებს;

სოციალური პარტნიორობა – სახელობო განათლებაში სოციალური პარტნიორობა ეფუძნება სახელმწიფოს, დამსაქმებლებს, პროფესიულ კავშირებს, განათლების პროვაიდერებსა და საზოგადოებრივ სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობასა და მუდმივ სოციალურ დიალოგს. გათვალისწინებულია სოციალური პარტნიორების აქტიური ჩართვა სისტემასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადებაში ყველა დონეზე;

ევროპულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობა – გულისხმობს საქართველოში დანერგილი პროფესიული სტანდარტების შესაბამისობას ევროპულ პროფესიულ სტანდარტებთან, რაც უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა ურთიერთშესაბამისობას. საქართველოში მიღებული კვალიფიკაცია დააკმაყოფილებს საერთა-



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საბჭოების მიერ და დამტკიცებულია | | |
| | პროფესიული სწავლების ცენტრებს შორის გამოცდილების გაზიარების ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბების ხელშეწყობა | | გაიმართა სულ მცირე 4 სამუშაო შეხვედრა | გაიმართა სულ მცირე 4 სამუშაო შეხვედრა | გაიმართა სულ მცირე 4 სამუშაო შეხვედრა | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები პროფესიული სწავლების ცენტრები |
| | 3.1.3. სახელობო განათლებისა და მომზადების სფეროში მოქმედი დონორი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია | გაიმართა სულ მცირე ერთი საკოორდინაციო სემინარი დონორ ორგანიზაციებთან | სულ მცირე 2 საკოორდინაციო შეხვედრა დონორ ორგანიზაციებთან, სტრატეგიის წლიური სამოქმედო გეგმა ასახავს დონორებთან კოორდინირებულ მუშაობას | სულ მცირე 2 საკოორდინაციო შეხვედრა დონორ ორგანიზაციებთან, სტრატეგიის წლიური სამოქმედო გეგმა ასახავს დონორებთან კოორდინირებულ მუშაობას | სულ მცირე 2 საკოორდინაციო შეხვედრა დონორ ორგანიზაციებთან, სტრატეგიის წლიური სამოქმედო გეგმა ასახავს დონორებთან კოორდინირებულ მუშაობას | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები |
| | 3.1.4. პროფესიული განათლების სფეროსთან დაკავშირებული უწყებების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, სსიპ – მასწავლებელთა | თანამშრომლები მონაწილეობენ პროფესიულ სემინარებსა და ტრენინგებში | საჭიროებათა ანალიზი ჩატარებულია და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია, თანამშრომლები მონაწილეობენ პროფესიულ სემინარებსა და ტრენინგებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად | თანამშრომლები მონაწილეობენ პროფესიულ სემინარებსა და ტრენინგებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად | თანამშრომლები მონაწილეობენ პროფესიულ სემინარებსა და ტრენინგებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სისტემა, პროფე სიული განათლების დაფინანსება, სახელობო დონეზე საგანმანათლებლო ჩიხის' აღმოფხვრა, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების სისტემა | | | |
| | 3.1.2. პროფესიული სწავლების ცენტრების ავტონომიურობის ზრდის ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება (სამეთვალყურეო საბჭოების ფორმირება და ამოქმედება) | | | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | სსიპ- ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრებში სამეთვალყურეო საბჭოების ფორმირება და ამოქმედება | სამეთვალყურეო საბჭოსთან დაკავშირებული ცვლილებები კანონში | არსებულ სსიპ–ის ფორმის პროფე სიული სწავლების ცენტრებს ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო | სემინარი პროფესიული სწავლების ცენტრების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორებისა თვის სასწავლო სამეწარმეო პარტნიორობაში. პროფესიული სწავლების ცენტრების ბიზნეს გეგმები განხილუ ლია სამეთვალყურეო | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ' სამინისტრო, პროფესიული სწავლების ცენტრები |



შორისო მოთხოვნებს და, შესაბამისად, უზრუნველყოფს მოქალაქის კონკურენტუნარიანობას;

მმართველობითი გადაწყვეტილებების ინფორმაციული უზრუნველყოფა – გადაწყვეტილებების მიღებისას გამოყენებული იქნება უახლესი სტატისტიკური და კვლევებზე დაფუძნებული ანალიტიკური ინფორმაცია;

თანამონაწილეობა და გამჭვირვალეობა – გადაწყვეტილებების მიღება სახელობო განათლებისა და მომზადების სფეროში მოხდება სოციალურ პარტნიორებთან, პროვაიდერებთან, სტუდენტებთან, მასწავლებელ/ინსტრუქტორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე. ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების და აღსრულების პროცესში ხელს შეუწყობს გამჭვირვალეობას;

რეგიონალური მიდგომა – სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემა ორიენტირებული იქნება ადგილობრივ (რეგიონალურ) მოთხოვნებზე. რეგიონალური განვითარების მიმდინარე და დაგეგმილი ამოცანებიდან გამომდინარე, ხორციელდება სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის ოპტიმიზაცია და ადაპტაცია. სისტემის ორიენტაცია რეგიონების მოთხოვნებზე გააადვილებს ადამიანების დასაქმებას და უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. საჭიროებებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების ფუნქციები გადანაწილდება რეგიონალურ დონეზეც;

პროგრამული მრავალფეროვნება – პროგრამული მრავალფეროვნება საშუალებას აძლევს სტუდენტს, აირჩიოს მისთვის ყველაზე მისაღები საგანმანათლებლო პროგრამა. იარსებებს განსხვავებული საგანმანათლებლო პროგრამები ხანგრძლივობის, შინაარსისა და ფორმის მიხედვით. ორიენტაცია იქნება აღებული ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობაზე, რომლებიც უზ-



46

რუნველყოფს ადამიანური რესურსების მდგრად განვითარებასა და სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობას აკადემიური უმაღლესი და სახელობო განათლებისა და მომზადების ტრაექტორიების გასწვრივ;

დეცენტრალიზაცია, ავტონომიურობა და ანგარიშვალდებულება – სისტემის დეცენტრალიზაცია და სახელობო განათლებისა და მომზადების პროვაიდერთა ავტონომიურობა უზრუნველყოფს მეტ მოქნილობას, სწრაფ რეაგირებას ბაზრის მოთხოვნებზე და მეტ ეფექტიანობას. დეცენტრალიზაციისა და გაზრდილი ავტონომიურობის პირობებში, საგანმანათლებლო დაწესებულებები ანგარიშვალდებულნი იქნებიან საკუთარი მმართველობითი ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს) წინაშე;

ეფექტიანობა – სისტემა რაციონალურად გამოიყენებს არსებულ ფინანსურ, ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსებს; ადვილად მოახდენს ადაპტირებას ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებებზე;

ხარისხი – სისტემა მოამზადებს შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრების მოთხოვნისა და პიროვნული საგანმანათლებლო ინტერესების შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე კადრებს;

ხელმისაწვდომობა – სისტემა უზრუნველყოფს სახელობო განათლებისა და მომზადების ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას, რაც თითოეულ ადამიანს მისცემს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

ინკლუზია – სტრატეგია ხაზს უსვამს განათლების გზით თითოეული ადამიანის პიროვნული განვითარების უფლებას და ითვალისწინებს დამატებით ღონისძიებებს პროფესიულ განათლებაში მოსახლეობის ისეთი ჯგუფების ჩართულობის გასაზრდელად, როგორებიც არიან: იძულებით გადაადგილებული პირები – დევ-



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების შესაბამისად, თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება | | ფუნქციონირებს თემატური სამუშაო ჯგუფები სულ მცირე შემდეგი მიმართულებით: 1. კვალიფიკაციების სისტემა; 2. პროფესიული განათლების დაფინანსება; 3. ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში; 4. პარტნიორობა პროფესიულ განათლებაში; 5. პროფესიული განათლების მონიტორინგი; 6. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება – და მიმდინარეობს მუშაობა პოლიტიკის დოკუმენტებზე შემდეგი საკითხების შესახებ: პროფესიული განათლების ხარისხის მართვა, პროფესიული განათლების მონიტორინგი, ეროვნული პროფესიული კვალიფიკაციების | ფუნქციონირებს თემატური სამუშაო ჯგუფები სულ მცირე შემდეგი მიმართულებით: კვალიფიკაციების სისტემა, პროფესიული განათლების დაფინანსება, ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში, პარტნიორობა პროფესიულ განათლებაში, პროფესიული განათლების მონიტორინგი – და მიმდინარეობს მუშაობა პოლიტიკის დოკუმენტებზე შემდეგი საკითხების შესახებ: პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობა, პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის პროფესიული განვითარება | ფუნქციონირებს თემატური სამუშაო ჯგუფები სულ მცირე შემდეგი მიმართულებით: კვალიფიკაციების სისტემა, პროფესიული განათლების დაფინანსება, ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში, პარტნიორობა პროფესიულ განათლებაში, პროფესიული განათლების მონიტორინგი | სახელობო განათლებისა და მომზადების პროფესიული საბჭო<br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

47

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანა 3: თანამონაწილეობის პრინციპზე დამყარებული სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის მართვისა და ეფექტიანი და სამართლიანი დაფინანსების მოდელის ჩამოყალიბება | | | | | | |
| პრიორიტეტული მიმართულება 3.1 - სახელობო განათლებისა და მომზადების სოციალური პარტნიორობის პრინციპებზე დამყარებული მართვის მექანიზმების შექმნა და ამოქმედება | 3.1.1. სახელობო განათლებისა და მომზადების სექტორის მართვის სისტემის განვითარება | | | | | |
| | სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს ჩამოყალიბება და ფუნქციონირება | ჩამოყალიბებულია სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო | სულ მცირე 4 შეხვედრა<br>სულ მცირე 2 შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან | სულ მცირე 4 შეხვედრა<br>სულ მცირე 2 შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან | სულ მცირე 4 შეხვედრა<br>სულ მცირე 2 შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან | საქართველოს მთავრობა, სახელობო განათლებისა და მომზადების პროფესიული საბჭო |



ნილები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, პატიმრები, სხვა მსჯავრდებულები, ეთნიკური უმცირესობები, სხვადასხვა კატეგორიის რისკ-ჯგუფები (მათ შორის, ქუჩის ბავშვები), სოციალურად დაუცველნი და ა.შ. მოსახლეობის ასეთი ჯგუფების ჩართულობის ზრდა უზრუნველყოფს მათ სოციალურ დაცვასა და საზოგადოებრივ ინტეგრაციას.

## სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის დღევანდელი გამოწვევები

### სახელობო განათლებისა და მომზადების ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა პროფესიული განვითარება

სისტემის არასაკმარისი სიმძლავრე – არ არის უზრუნველყოფილი სახელობო განათლებისა და მომზადების ხელმისაწვდომობა, არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების პოტენციალი სასწავლო ადგილების თვალსაზრისით სავარაუდოდ ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნას სახელობო განათლებასა და მომზადებაზე. სამწუხაროდ, არ არსებობს კვლევებზე დაფუძნებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რეალურად როგორია მოთხოვნა სახელობო განათლებასა და მომზადებაზე.

ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხი" – სისტემა ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთა თავისუფალ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მოძრაობას საგანმანათლებლო ტრაექტორიების გასწვრივ. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურისა და სახელობო განათლების ტრაექტორიების გამიჯვნის შედეგად იქმნება სისტემა „საგანმანათლებლო ჩიხით", რომელში მოქცეულ სტუდენტსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მხოლოდ ძალიან მცირე და არაპერსპექტიული შესაძლებლობა ეძლევა. ამ „ჩიხების" აღმოფხვრის მექანიზმები დასახვეწია.

პოტენციური სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალი დონე ინფორმაცია პროფესიული სწავლების ცენტრების, სახელობო

საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღების შესაძლებლობების შესახებ თითქმის არ ხვდება სკოლებში. ეს ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი პოტენციური ზრდასრული აუდიტორიისათვისაც. არ არსებობს რეგულარული საინფორმაციო ბუკლეტები სახელობო განათლების აბიტურიენტებისათვის. სახელობო განათლებისა და მომზადების საკითხს ნაკლები ყურადღება ეთმობა პრესასა და სატელევიზიო პროგრამებში.

გამართული სასწავლო ბაზის მქონე პროფესიული სწავლების ცენტრების მცირე რაოდენობა – პროფესიული განათლების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ნაწილობრივ განახლდა 10 პროფესიული სწავლების ცენტრის მატერიალური და სასწავლო ბაზა. ამ მიზნით დაიხარჯა თითქმის 12 მილიონი ლარი. დანარჩენ პროფესიული სწავლების ცენტრებში სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა. ძალზე მცირეა იმ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვი, სადაც არსებობს თანამედროვე სასწავლო ბაზა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების პოტენციალის არარაციონალური გამოყენება – საგანმანათლებლო დაწესებულებების პოტენციალი არაა სრულად გამოყენებული. ზოგიერთ რეგიონში კი დღეს არსებული სისტემა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მაღალ მოთხოვნას სახელობო განათლებასა და მომზადებაზე. არ არის სათანადოდ გამოყენებული პროფესიული განათლებისა და მომზადების კერძო პროვაიდერთა შესაძლებლობები.

გარკვეული პროფესიების დაუფლების შესაძლებლობების არარსებობა - არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ოპტიმიზაციის პირობებში პროფესიების გარკვეული კატეგორიის სწავლება საერთოდ არ მიმდინარეობს. ამას ართულებს ის გარემოებაც, რომ არ არსებობს პროფესიათა ნუსხა, სადაც აღნუსხული იქნება ყველა ის პროფესია, რომელზეც არსებობს მოთხოვნა შრომის ბაზარზე.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის განვითარების გეგმების შემუშავება და დამტკიცება მათი სამეთვალყურეო საბჭოების მიერ | | სულ მცირე სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების 25%-ს შემუშავებული აქვს განვითარების გეგმა | სულ მცირე სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების 80% -ს შემუშავებული აქვს განვითარების გეგმა | | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრები |
| | **2.5.3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის მოსამზადებელი პროცესი** | | | | | |
| | სახელობო განათლების ხარისხის მართვის საგანმანათლებლო მოდულის შემუშავება | | ხარისხის მართვის საგანმანათლებლო მოდული არსებობს | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, სსიპ – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, დონორი ორგანიზაციები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2.5.2. პროფესიული სწავლების ცენტრში ხარისხის მართვის შიდა მექანიზმების ფორმირების სტიმულირება | | | | | |
| | თვითშეფასების კითხვარი და ხარისხის მართვის სახელმძღვანელოს შემუშავება | | თვითშეფასების კითხვარი და ხარისხის მართვის სახელმძღვანელო არსებობს | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | პროფესიული სწავლების ცენტრების ადმინისტრატორთა ტრენინგი სახელობო განათლების ხარისხის მართვაში | | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების ადმინისტრაციის 100%-ს გავლილი აქვს ტრენინგი ხარისხის მართვაში | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | შიდა შემფასებლებისათვის ტრენინგების ჩატარება | | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების წარმომადგენელ შიდა შემფასებლების 100% -ს გავლილი აქვს ტრენინგი ხარისხის მართვაში | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | პროფესიული სწავლების ცენტრის ხარისხის მართვის პროცედურების პილოტირება სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრებში | | სულ მცირე სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების 50% მონაწილეობს თვითშეფასებაში | სულ მცირე სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების 80% მონაწილეობს თვითშეფასებაში | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრები |



დაბალი პრესტიჟი – სახელობო განათლება არ არის პრესტიჟული.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების უგულებელყოფა – სახელობო განათლებისა და მომზადების პროვაიდერებს არ გააჩნიათ პირობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მისაღებად, რის გამოც სტუდენტებს შორის ამ კატეგორიის ადამიანები თითქმის არ არიან, თუმცა ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს.

წინმსწრები განათლების აღიარების სისტემის არარსებობა – ჩამოუყალიბებელია წინმსწრები განათლების აღიარების სისტემა. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, კვალიფიციური კადრები მზადდება არა მხოლოდ ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში, არამედ ცხოვრების განმავლობაში პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. ქვეყნისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მნიშვნელოვანი რესურსის სრულად გამოსაყენებლად საჭიროა წინმსწრები განათლების აღიარების სისტემის დანერგვა.

## სახელობო განათლებისა და მომზადების ხარისხი

პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის გაუმართაობა – პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს და პროფესიული სტანდარტების საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ შრომის ბაზარზე კვალიფიკაციებზე მოთხოვნისა და მიწოდების ჰარმონიზაციის მექანიზმს. სისტემა ამჟამად ვერ უზრუნველყოფს დამსაქმებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას ისეთ სამუშაო ძალაზე, რომელიც შეესაბამება საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმატებული ფუნქციონირების ამოცანებს.

შრომის ბაზრის რეგულარული კვლევის სისტემის არარსებობა – შრომის ბაზრის კვლევები არის არასისტემატური და ფრაგმენტული. ბაზრის საჭიროებების დადგენის სისტემის არარსებობა შეუძლებელს ხდის სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის მორგებას ბაზრის საჭიროებებზე.

სახელობო განათლებისა და მომზადების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არარსებობა - ხარისხის კონტროლის მექანიზმები სუსტადაა ამოქმედებული როგორც ინსტიტუციურ, ისე პროგრამულ დონეზე.

სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების სუსტი (ან არარსებული) კავშირი რეგიონის მოთხოვნებთან – აღსანიშნავია ადგილობრივი თვითმმართველობის ინფორმირებულობის დაბალი დონე სახელობო განათლებისა და მომზადების მნიშვნელობისა და პოტენციალის შესახებ; ამავდროულად რეგიონებში განთავსებული პროფესიული სწავლების ცენტრების საგანმანათლებლო პროფილი და პროგრამები ხშირ შემთხვევებში არ შეესაბამება რეგიონის ეკონომიკურ პროფილს და ადგილობრივ საჭიროებებს.

სახელობო განათლების მასწავლებელ/ინსტრუქტორთა და ადმინისტრატორთა მომზადებისა და გადამზადების მუდმივმოქმედი სისტემის არარსებობა – საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არ ამზადებენ სახელობო განათლების მასწავლებელ/ინსტრუქტორებს, ასევე ადმინისტრატორებს. ამის გამო ძალიან მცირეა ახალგაზრდა კვალიფიციურ მასწავლებელ/ინსტრუქტორთა რიცხვი. მასწავლებელ/ინსტრუქტორთა და ადმინისტრატორთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობები არ არსებობს.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სამეწარმეო პარტნიორობაში | | | | |
| | სოციალური რეკლამა | | | | დამსაქმებელთა სულ მცირე 50% ინფორმირებულია საქართველოში სახელობო განათლების შესახებ | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დონორი ორგანიზაციები |
| | თემატური გამოფენების მოწყობა (პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარების ჩვენება) | | | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების 20%-ზე მეტი მონაწილეობს ან აწყობს სტუდენტთა თემატურ ექსპოებს | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების 30%-ზე მეტი მონაწილეობს ან აწყობს სტუდენტთა თემატურ ექსპოებს | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრები, დონორი ორგანიზაციები |
| | დამსაქმებლებთან მუდმივი კონსულტაციების წარმოება მრჩეველთა საბჭოების ფორმირების გზით | | | | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების 50% ს ჰყავს მრჩეველთა საბჭო | პროფესიული სწავლების ცენტრები, დონორი ორგანიზაციები |
| პრიორიტეტული მიმართულება 2.5 - სახელობო განათლებისა და მომზადების ხარისხის შეფასებისა და ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვა | 2.5.1. სახელობო განათლებაში ხარისხის მართვის კონცეფციის შემუშავება | | ხარისხის მართვის კონცეფცია არსებობს | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება | | დამტკიცებულია სულ მცირე 30 განახლებული მოდულური და კრედიტებში გაანგარიშებული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა | დამტკიცებულია სულ მცირე 50 განახლებული მოდულური და კრედიტებში გაანგარიშებული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა | დამტკიცებულია სულ მცირე 80 განახლებული მოდულური და კრედიტებში გაანგარიშებული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | **2.4.2. პროფესიული განათლების კრედიტების გაანგარიშების წესის შემუშავება** | | სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებში დაანგარიშების წესი | პროფესიული სწავლების ცენტრების სასწავლო პროგრამებისათვის პასუხისმგებელი პერსონალის ტრენინგები და კონსულტაციები სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებში კრედიტების დაანგარიშების/ გადატანის წესთან დაკავშირებით | | სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი |
| | **2.4.3. სასწავლო და სამეწარმეო პარტნიორობის წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება** | | | | | |
| | სემინარი სასწავლო-სამეწარმეო საქმიანობის განვითარების საკითხებზე | 38 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის ადმინისტრაციას გავლილი აქვს ტრენინგი სასწავლო | | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |



**სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის მართვა და დაფინანსება**

სახელმწიფო დაფინანსების განაწილების არაეფექტიანი და არასამართლიანი სისტემა – არ არსებობს სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის დაფინანსების მოდელი, რომელიც უზრუნველყოფდა სისტემის ეფექტიან და მდგრად ფუნქციონირებას და დაფუძნებული იქნებოდა სამართლიანობის პრინციპზე. არასაკმარისადაა გამოყენებული მრავალარხიანი დაფინანსების წყაროები (დაინტერესებული პირებისა და ოჯახური მეურნეობების პოტენციალი). არ არის შემუშავებული სახელმწიფო დაფინანსების კერძო პროვაიდერამდე მიღწევის შესაძლებლობა, რაც ხელს უშლის კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას. არ არის ამოქმედებული სოციალური ჯგუფების დაფინანსების მექანიზმი.

არასაკმარისი სოციალური პარტნიორობა – სუსტია პროფესიული ასოციაციებისა და დამსაქმებელთა არასაკმარისი ჩართულობა როგორც სასწავლო, ასევე მმართველობით და პოლიტიკის განმსაზღვრელ პროცესებში; აღსანიშნავია პარტნიორთა ინფორმირებულობის დაბალი დონე, მათი მხრიდან მოტივაციის არარსებობა; არ არის ამოქმედებული პარტნიორების ჩართვის კონკრეტული მექანიზმები (სამეთვალყურეო საბჭოების ჩამოყალიბება არ არის დასრულებული), არ არის გათვალისწინებული დამსაქმებელთა წახალისება სახელობო განათლებისა და მომზადების მხარდაჭერისათვის.

მართვის ინფორმაციული სისტემის არარსებობა – სახელობო განათლებასა და მომზადებაში მართვის ინფორმაციული სისტემა და მისთვის მონაცემების შეგროვება ნაკლოვანია. შედეგად, მმართველობითი გადაწყვეტილებები ინფორმაციული უზრუნველყოფის (სტატისტიკა, ანალიზი) სიმწირით გამოირჩევა. 2009 წლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტმა დაიწყო ინფორმაციის შეგროვება

კერძო და საჯარო პროფესიული სწავლების ცენტრებიდან და იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, რომლებიც სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებსაც სთავაზობენ. სტატისტიკის შეგროვება საჭიროებს სათანადო პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამისი კადრების მომზადებას, რაც ამ ეტაპზე არ არსებობს.

კვლევების სიმწირე – არაა შესწავლილი სახელობო განათლებისა და მომზადების სფეროში კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება, სოციალური პარტნიორობის პერსპექტივები, ადრე ჩადებული ინვესტიციების შედეგები, ჩატარებული ტრენინგების ეფექტიანობა და ა.შ. სახელობო განათლებისა და მომზადების სფეროში ძალზე ცოტაა გამოყენებითი ხასიათის კვლევები და პოლიტიკის ანალიზი.

დონორების არათანამიმდევრული კოორდინაცია – ამჟამად არ არსებობს დონორების საქმიანობის კოორდინაციის სათანადო მექანიზმები, რაც უზრუნველყოფდა სხვა ქვეყნებიდან მიღებული დახმარების მაქსიმალურად ეფექტიან ხარჯვას.

## სტრატეგიის ამოცანები

ამოცანა 1. სახელობო განათლებასა და მომზადებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოქალაქეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ამოცანა 2. სახელობო განათლებისა და მომზადების ხარისხის უზრუნველყოფა.

ამოცანა 3. თანამონაწილეობის პრინციპზე დამყარებული სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის მართვისა და ეფექტიანი და სამართლიანი დაფინანსების მოდელის ჩამოყალიბება.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პროფესიული სტანდარტების რეესტრის შექმნა და მათი პოპულარიზაცია მომხმარებლებში | | რეესტრში შესულია სულ მცირე 48 სტანდარტი | რეესტრში შესულია სულ მცირე 80 სტანდარტი | რეესტრში შესულია სულ მცირე 120 სტანდარტი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| **პრიორიტეტული მიმართულება 2.4 - ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და სტუდენტზე ორიენტირებული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და სრულყოფის სტიმულირება** | **2.4.1. ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და დანერგვა** | | | | **ცენტრების მიერ მიწოდებულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამათა 40% შესაბამისობაშია შესაბამის პროფესიულ სტანდარტსა და სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტთან** | **სსიპ – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული სწავლების ცენტრები, პროფესიული ასოციაციები** |
| | სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის კორექტირება | | განახლებული სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი | | განახლებული სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი | სსიპ – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი |
| | მოდულური სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება | | | | | სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, პროვაიდერები, ასოციაციები და სხვ. |

50

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საერთო და დარგობრივ კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონეების მახასიათებლების (დესკრიპტორების) ამსახველი დოკუმენტის შემუშავება | | საერთო და დარგობრივ კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონეების მახასიათებლების (დესკრიპტორების) ამსახველი დოკუმენტები | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი საბჭოები, სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო |
| | პროფესიათა ნუსხის შექმნა | 13 პრიორიტეტულ სფეროში პროფესიათა ნუსხის შექმნა | პროფესიათა ნუსხის შევსება | პროფესიათა ნუსხის შევსება | პროფესიათა ნუსხის შევსება | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი საბჭოები, სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო |
| | შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტანდარტების შემუშავების ხელშეწყობა | შემუშავდა სულ მცირე 30 პროფესიული სტანდარტი | შემუშავდა სულ მცირე 30 პროფესიული სტანდარტი | შემუშავდა სულ მცირე 40 პროფესიული სტანდარტი | არსებობს სულ მცირე 150 პროფესიული სტანდარტი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი საბჭოები, სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო |

53

## ამოცანა 1. სახელობო განათლებისა და მომზადების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოქალაქეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის ზრდის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, რაც, თავის მხრივ, როგორც პიროვნებების პირად კეთილდღეობაში, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მახასიათებლებში აისახება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა მსურველს უნდა მიეცეს სახელობო განათლების/მომზადების შესაძლებლობა, „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე" პრინციპის შესაბამისად, სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა ასაკის პოტენციური სტუდენტის მოთხოვნას სახელობო განათლებასა და მომზადებაზე, ანუ სისტემას უნდა ჰქონდეს სათანადო სიმძლავრე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შემდგომი განვითარება უნდა დაეფუძნოს დივერსიფიკაციისა და მოქნილობის პრინციპებს, რაც გულისხმობს განსხვავებული იურიდიული ფორმისა და სხვადასხვა ტიპის სახელობო განათლებისა და მომზადების პროვაიდერთა არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ახალგაზრდა სტუდენტებს, ასევე ზრდასრულებს ისეთი ცოდნით, უნარებითა და ზოგადი კომპეტენციებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას და ამავე დროს შექმნის ადამიანის შემდგომი პროფესიული განვითარების შესაძლებლობას.

ამ ამოცანის ფარგლებში პრიორიტეტული მიმართულებებია:

პრიორიტეტული მიმართულება 1.1 სახელობო განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსება სტუდენტებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

პრიორიტეტული მიმართულება 1.2 – სახელობო განათლებაში არსებული საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის გზების ძიება და შესაბამისი მექანიზმების დანერგვა;

პრიორიტეტული მიმართულება 1.3 – სახელობო განათლებისა და მომზადების ხელმისაწვდომობისა და მასში მონაწილეობის ჩართულობის გაზრდა;

პრიორიტეტული მიმართულება 1.4 – წინმსწრები განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავება.

**პრიორიტეტული მიმართულება 1.1 – სახელობო განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსება სტუდენტებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში**

**პრიორიტეტული მიმართულება 1.2 – სახელობო განათლებაში არსებული საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის გზების ძიება და შესაბამისი მექანიზმების დანერგვა**

სახელობო განათლება და მომზადება განათლების სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაზე გადასვლის თანამედროვე პირობებში მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ერთიანი სტრატეგიის პრინციპებს ემყარება.

სტრატეგიაში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი სახელობო დონეზე არსებული ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხით" წარმოქმნილი პრობლემის მოგვარებაზე კეთდება. უნდა შეიქმნას პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის თავისუფალ შეღწევადობას განათლების შემდგომ დონეზე.

ამ პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პრიორიტეტული მიმართულება 2.3 - ეროვნულ პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შემუშავება | 2.3.1. პროფესიულ კვალიფიკაციათა მოქნილი და ადვილად გასაგები საერთო და დარგობრივი ჩარჩოების შექმნა | | | | არსებობს საერთო და დარგობრივ კვალიფიკაციათა ჩარჩოები, სულ მცირე 150 პროფესიული სტანდარტი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი საბჭოები, სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო |
| | შრომის ბაზრის რეგულარული კვლევისა და ანალიზის სისტემის ჩამოყალიბება და კვლევების განხორციელება | შრომის ბაზრის რეგულარული კვლევისა და ანალიზის წესი | შრომის ბაზრის კვლევა პროფესიებზე, კვალიფიკაციებსა და კომპეტენციებზე (დარგობრივი საბჭოების მიერ განსაზღვრულ სფეროებში) | შრომის ბაზრის კვლევა პროფესიებზე, კვალიფიკაციებსა და კომპეტენციებზე (დარგობრივი საბჭოების მიერ განსაზღვრულ სფეროებში) | შრომის ბაზრის კვლევა პროფესიებზე, კვალიფიკაციებსა და კომპეტენციებზე (დარგობრივი საბჭოების მიერ განსაზღვრულ სფეროებში) | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი საბჭოები, სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ადგილობრივი და საერთაშორისო მასწავლებელთა და მკვლევართა ასოციაციების ჯგუფების ქსელების შექმნისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა | | | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები, განათლების პროვაიდერები |
| **პრიორიტეტული მიმართულება 2.2 სოციალური პარტნიორობის მექანიზმების ჩამოყალიბება რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის მიზნით** | **2.2.1. სახელობო განათლებისა და მომზადების დარგობრივი საბჭოების შექმნა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა** | **პრიორიტეტულ სექტორებში არსებობს დარგობრივი საბჭო (13)** | **პრიორიტეტულ სექტორებში არსებობს დარგობრივი საბჭო** | **პრიორიტეტულ სექტორებში არსებობს დარგობრივი საბჭო** | **პრიორიტეტულ სექტორებში არსებობს დარგობრივი საბჭო** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | **2.2.2. დამსაქმებლებთან ერთად საწარმოო პრაქტიკის პირობებისა და წესების (მენტორობა, სასწავლო პროექტები, სტუდენტთა კომპეტენციების შეფასება) მომზადება** | | **საწარმოო პრაქტიკის პირობებისა და წესების ამსახველი დოკუმენტი** | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |



1.2.1. არსებული საგანმანათლებლო ნიშის ადმოფხვრის გზებისა და მექანიზმების ძიება:

1.2.1.1. საგანმანათლებლო ნიშის აღმოფხვრის პერსპექტიული გზებისა და მექანიზმების ძიება და ანალიზი;

1.2.1.2. საგანმანათლებლო ნიშის აღმოფხვრის პერსპექტიული გზებისა და მექანიზმების პილოტირება;

1.2.1.3. საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო ნიშის აღმოფხვრის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;

1.2.1.4. საგანმანათლებლო ნიშის აღმოფხვრის პერსპექტიული გზებისა და მექანიზმების დანერგვა;

1.2.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების/კომპონენტის მიწოდების სტიმულირება:

- ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული სახელობო კომპონენტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელების ხელშეწყობა და შეფასება.

**პრიორიტეტული მიმართულება 1.3 – სახელობო განათლებისა და მომზადების ხელმისაწვდომობისა და მასში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა**

არსებული სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია საგანმანათლებლო შესაძლებლობების, პროფესიული განათლების სისტემის სიმძლავრის გაზრდა როგორც სახელობო განათლების საჯარო სექტორში მეტი სტუდენტის მოზიდვით და არსებული ინფრასტრუქტურული რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებით, ასევე კერძო სექტორის როლის სტიმულირებით სახელობო განათლებაში. მეტი საგანმანათლებლო რესურსი ხსნაის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრებში, სახელობო განათლების ახალი პროვაიდერები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების სახით უნდა იყოს



51

იმის საშუალება, რომ პროფესიული განათლების სისტემამ შეძლოს უფრო მეტი პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის დაკმაყოფილება და, ამასთანავე, უფრო ეფექტიანად და, ამავდროულად, შედეგიანად იქნეს გამოყენებული არსებული სახელმწიფო რესურსები. ამ მხრივ, განსაკუთრებული როლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახელობო განათლების კომპონენტის შეტანასაც ენიჭება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ადრეულ და სწორ პროფესიულ ორიენტაციას – მათ საშუალება ეძლევათ სკოლაშივე გაეცნონ და აირჩიონ მათთვის სასურველი სახელობო პროფესია და საკუთარი ძალებიც მოსინჯონ ამ მხრივ. გარდა ამისა, სკოლაში მიღებული სახელობო განათლება შესაძლოა აღიარებულ იქნეს შემდგომ საფეხურზე, რაც სტუდენტს გაუადვილებს საჭირო პროფესიის დაუფლებას შედარებით მოკლე დროში.

ამასთანავე, სტრატეგია ითვალისწინებს მოსახლეობის იმ ჯგუფების საჭიროებებსაც, რომელთაც ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ. ასეთი ჯგუფებია: იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, პატიმრები, სხვა მსჯავრდებულები, ეთნიკური უმცირესობები, სხვადასხვა კატეგორიის რისკ-ჯგუფები (მათ შორის, ქუჩის ბავშვები), სოციალურად დაუცველნი. სისტემაში ასეთი ჯგუფების ჩართულობა უზრუნველყოფს მათ სოციალურ დაცვასა და საზოგადოებრივ ინტეგრაციას.

ამ პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

**1.3.1. სახელობო განათლებისა და მომზადების პროვაიდერთა ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია-რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება:**

1.3.1.1. სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების ინფრასტრუქტურული საჭიროებების შესწავლა;



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | პროფესიული პრაქტიკა | განვითარების ცენტრი, ტრენინგების პროვაიდერები, დონორი ორგანიზაციები |
| | სახელობო განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის ხელშეწყობა მათი პედაგოგიური კომპეტენციების გაზრდის მიზნით | | მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა სულ მცირე 25 %-ს გავლილი აქვს პედაგოგიურ უნარებში ტრენინგი | მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა სულ მცირე 50 %-ს გავლილი აქვს პედაგოგიურ უნარებში ტრენინგი | მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა სულ მცირე 75 %-ს გავლილი აქვს პედაგოგიურ უნარებში ტრენინგი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, ტრენინგების პროვაიდერები, დონორი ორგანიზაციები |
| | სასწავლო და პრაქტიკის გასავლელი სტიპენდიები ან საგანმანათლებლო პროგრამები სახელობო განათლების მენეჯერებისათვის | არსებული სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების დირექტორებს გავლილი აქვთ პროფესიული ტრენინგები პროექტების შემუშავებასა და მართვაში, სასწავლო-საწარმოო პარტნიორობაში | არსებული სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების დირექტორებს გავლილი აქვთ პროფესიული ტრენინგები პროფესიული განათლების ხარისხის მართვაში, ზოგად მენეჯმენტში | არსებული სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების დირექტორებს გავლილი აქვთ პროფესიული ტრენინგები საჭიროებისამებრ (შესაძლოა კურიკულუმების შემუშავება და ა.შ.) | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები, განათლების პროვაიდერები |

49

1.3.1.2. სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების სასწავლო კორპუსებისა და სახელოსნოების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულება (ფასადების აღდგენა, სახურავების, კარ-ფანჯრების გამოცვლა, გათბობის სისტემების მონტაჟი და სხვ.);

1.3.1.3. სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა;

1.3.1.4. სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების სახელოსნოების რეკონსტრუქცია/რემონტი და სათანადო დანადგარებით აღჭურვა;

1.3.1.5. სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების ინტერნეტის ქსელში ჩართვა;

**1.3.2. „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის" პროგრამის ფარგლებში ფუნქციურად დაუტვირთავი უძრავი ქონების გასხვისება პროფესიული სწავლების ცენტრების დაფუძნების მიზნით;**

**1.3.3. სახელობო განათლებისა და მომზადების პროგრამების განხორციელება იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების, პატიმრების, სხვა მსჯავრდებულების, ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, სხვადასხვა კატეგორიის რისკ-ჯგუფებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის:**

1.3.3.1. საჭიროებათა ანალიზი;

1.3.3.2. ამ სფეროში მოღვაწე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია;

1.3.3.3. არსებული პროფესიული სწავლების ცენტრების ინფრასტრუქტურის ადაპტაცია მოძრაობის უნარშეზღუდული ადამიანებისათვის;

1.3.3.4. საინფორმაციო სემინარი პროფესიული სწავლების ცენტრის პერსონალისა და სტუდენტებისათვის ინკლუზიურ განათლებაზე;

1.3.3.5. რეგიონის თემებისათვის მოთხოვნის შესაბამისად ადგილზე მოკლევადიანი არაფორმალური სახელობო კურსების შეთავაზება;

1.3.3.6. პატიმართა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;



52

1.3.3.7. დაფინანსებისა და მიღების წესის ამოქმედებამდე, სპეციალური პროგრამის დაფინანსება სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის;

1.3.3.8. სპეციალური პროგრამის დაფინანსება ეთნიკური უმცირესობების მჭიდროდ დასახლებული რეგიონებისათვის (ფორმალური და/ან არაფორმალური მოკლევადიანი განათლების კურსები);

**1.3.4. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის გაუმჯობესება:**

1.3.4.1. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებისათვის ფუნქციების განსაზღვრა;

1.3.4.2. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებისათვის ტრენინგების ჩატარება;

1.3.4.3. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის საგანმანათლებლო მოდულის შემუშავება;

1.3.4.4. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის საგანმანათლებლო მოდულის პილოტირება;

1.3.4.5. საქმიანობის სფეროების მიხედვით კარიერული ინფორმაციის შექმნა;

1.3.4.6. კარიერული საინფორმაციო ვებგვერდის შექმნა;

**1.3.5. სახელობო განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირება:**

1.3.5.1. ყველა პროფესიული სწავლების ცენტრის ვებ-გვერდების შექმნა;

1.3.5.2. სახელობო განათლების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა საშუალებებით.

## პრიორიტეტული მიმართულება 1.4 – წინმსწრები განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავება

ატესტაცია გულისხმობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინმსწრები განათლების შემოწმებას და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურებას, ასევე უცხო ქვეყანაში მიღებული სახელობო განათ-



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2.1.2. სასწავლო მასალებისა და სახელმძღვანელოების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა | | | | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრებს აქვს ლიცენზირების პირობების შესაბამისი სასწავლო მასალები და სახელმძღვანელოები | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები |
| | გრანტები სასწავლო მასალების (მათ შორის, ელექტრონული) შექმნის, თარგმნისა და გაუმჯობესებისათვის | შემუშავებულია და დაბეჭდილია სულ მცირე 10 დასახელების ახალი სახელმძღვანელო | შემუშავებულია და დაბეჭდილია სულ მცირე 10 დასახელების ახალი სახელმძღვანელო | შემუშავებულია და დაბეჭდილია სულ მცირე 10 დასახელების ახალი სახელმძღვანელო | არსებობს სულ მცირე 30 დასახელების ახალი სახელმძღვანელო | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები |
| | 2.1.3. სახელობო განათლების უზრუნველყოფა კვალიფიციური ადამიანური რესურსებით | | | | მასწავლებელთა 75% ს და ინსტრუქტორთა 75%-ს გავლილი აქვს პედაგოგიური უნარების ტრენინგები, ასევე პროფესიული უნარების ტრენინგები, ან ბოლო 3 წლის მანძილზე ჰქონდა შესაბამისი მინიმუმ სამწლიანი პროფესიული პრაქტიკა. არსებული სსიპ-ის ფორმის პროფესი- | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები, პროფესიული სწავლების ცენტრები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სახელობო განათლების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა საშუალებებით | | რეკლამა მასმედიაში, თემატური გადაცემები, საუკეთესო გამოცდილების ჩვენება | რეკლამა მასმედიაში, თემატური გადაცემები, საუკეთესო გამოცდილების ჩვენება | | პროფესიული სწავლების ცენტრები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| პრიორიტეტული მიმართულება 1.4 წინმსწრები განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავება | 1.4.1. ატესტაციის პირობებისა და წესის შემუშავება | შემუშავებულია ატესტაციის პირობებისა და წესის პროექტი | დამტკიცებულია ატესტაციის პირობებისა და წესის დოკუმენტი | შემუშავებულია საატესტაციო ორგანოთა შერჩევის წესი | შექმნილია ატესტაციის სისტემა და ფუნქციონირებს პრიორიტეტულ სფეროებში | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დარგობრივი საბჭოები, პროფესიული საბჭო |
| | 1.4.2. ატესტაციის პროცესის პილოტირება რამდენიმე დარგში | მიმდინარეობს ატესტაციის პილოტირება სულ მცირე 2 საატესტაციო ორგანოსა და 10 სპეციალობაში | | მიმდინარეობს საატესტაციო ორგანოთა შერჩევა დადგენილი წესის შესაბამისად | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| ამოცანა 2: სახელობო განათლებისა და მომზადების ხარისხის უზრუნველყოფა | | | | | | |
| პრიორიტეტული მიმართულება 2.1 - სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ინსტიტუციური, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა | 2.1.1. სახელობო განათლებისა და მომზადების პროვაიდერთა ინფრასტრუქტურის განვითარება (იხ. 1.2.1.) | | | | განვითარებულია სულ მცირე 6 სხვადასხვა ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების ინფრასტრუქტურა | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები |



ლებისა და მომზადების შეფასებას და კვალიფიკაციის აღიარებას. საატესტაციო ორგანოთა შერჩევის წესს, ასევე ატესტაციის პირობებსა და წესს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ამ პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

1.4.1. ატესტაციის პირობებისა და წესის შემუშავება;

1.4.2. ატესტაციის პროცესის პილოტირება რამდენიმე დარგში.

**ამოცანა 2. სახელობო განათლებისა და მომზადების ხარისხის უზრუნველყოფა**

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა საქართველოს განათლების სისტემას მწვავე ამოცანებს უყენებს – იყოს მაქსიმალურად მოქნილი და მიერგოს ინოვაციებსა და ახალ მოთხოვნებს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა შრომის ბაზრის უზრუნველყოფა სათანადო ცოდნისა და უნარების მქონე მაღალპროდუქტიული სპეციალისტებით. სახელობო განათლებისა და მომზადების ეფექტიანი სისტემა უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკურ და სოციალურ მოთხოვნებს ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე. ამასთანავე, უნდა იყოს სწრაფად ადაპტირებადი ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე. ხარისხიანი სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში საქართველო ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო და ეროვნულ გამოცდილებას.

საქართველოს სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის ერთ-ერთი ამოცანაა მისი ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შემდგომი ინტეგრაცია. აქედან გამომდინარე, არსებული სტრატეგია მხარს უჭერს სახელობო განათლებისა და მომზადების ხარისხის უზრუნველყოფის



53

ევროპაში აპრობირებული მექანიზმების (მაგალითად, „ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს (EQARF)") დანერგვას, რომელიც ადამიანური რესურსებისა და ადამიანური კაპიტალის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

ამ ამოცანის ფარგლებში პრიორიტეტული მიმართულებებია:

პრიორიტეტული მიმართულება 2.1 – სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ინსტიტუციური, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა;
პრიორიტეტული მიმართულება 2.2 – სოციალური პარტნიორობის მექანიზმების ჩამოყალიბება რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის მიზნით;
პრიორიტეტული მიმართულება 2.3 – ეროვნულ პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შემუშავება;
პრიორიტეტული მიმართულება 2.4 – ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და სტუდენტზე ორიენტირებული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და სრულყოფის სტიმულირება;
პრიორიტეტული მიმართულება 2.5 – სახელობო განათლებისა და მომზადების ხარისხის შეფასებისა და ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვა.

**პრიორიტეტული მიმართულება 2.1 – სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ინსტიტუციური, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა**

სახელობო განათლების ხარისხის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია შესაფერისი სასწავლო გარემოს არსებობა, მისი შემადგენელი ისეთი კომპონენტებით, როგორებიცაა: საკლასო



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ჩატარება | | | ტრენინგში | სპეციალისტებს გავლილი აქვთ პროფესიული ტრენინგი | ორგანიზაციები |
| | საქმიანობის სფეროების მიხედვით კარიერული ინფორმაციის შექმნა | | შექმნილია კარიერული ინფორმაცია და სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ შესაბამის კარიერულ ინფორმაციაზე | კარიერული ინფორმაცია განახლებადია | | პროფესიული სწავლების ცენტრები, დონორი ორგანიზაციები |
| | კარიერული საინფორმაციო ვებგვერდის შექმნა | | არსებობს და განახლებადია ვებგვერდი | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები, პროფესიული სწავლების ცენტრები |
| | **1.3.5. სახელობო განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირება** | | | | პოტენციურ სტუდენტთა უმეტესობას ხელი მიუწვდება ინფორმაციაზე სახელობო განათლების შესახებ | |
| | ყველა სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის ვებგვერდების შექმნა | არსებობს სულ მცირე 10 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის ვებგვერდი | გასულ წელთან შედარებით სულ მცირე 15-ით მეტი სსიპ–ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის ვებგვერდი არსებობს | | ყველა სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრს აქვს განახლებადი ვებგვერდი | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1.3.4. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის გაუმჯობესება | | | | სახელობო განათლებაში აპლიკანტთა რაოდენობა იზრდება 10 %-ით, დასაქმების მაჩვენებელი არ არის 50% –ზე დაბალი | |
| | პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა | | პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი არსებობს | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის საგანმანათლებლო მოდულის შემუშავება | | არსებობს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის საგანმანათლებლო მოდულის კურიკულუმი | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრები, განათლების პროვაიდერები |
| | პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის საგანმანათლებლო მოდულის პილოტირება | | პროვაიდერები სთავაზობენ საგანმანათლებლო პროგრამებს | | | პროვაიდერები |
| | პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებისათვის ტრენინგების | | კარიერის დაგეგმვის 15-20 სპეციალისტი იღებს მონაწილეობას პროფესიულ ტრენინგში | კარიერის დაგეგმვის სულ მცირე 15-20 სპეციალისტი იღებს მონაწილეობას პროფესიულ | არსებული სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი |



და სასწავლო პრაქტიკის ინფრასტრუქტურა, სახელობო განათლებაში დასაქმებული პედაგოგიური კადრები და სასწავლო მასალები, რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიყენება.

ამ პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

2.1.1. სახელობო განათლებისა და მომზადების პროვაიდერთა ინფრასტრუქტურის განვითარება (იხ. 1.2.1.);

2.1.2. სასწავლო მასალებისა და სახელმძღვანელოების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა:

- გრანტები სასწავლო მასალების (მათ შორის, ელექტრონული) შექმნის, თარგმნისა და გაუმჯობესებისათვის;

2.1.3. სახელობო განათლების უზრუნველყოფა კვალიფიციური ადამიანური რესურსებით:

2.1.3.1. სახელობო განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების მონაცემთა ბაზის შექმნა;

2.1.3.2. სახელობო განათლების ადმინისტრატორების/მასწავლებლების/ინსტრუქტორების მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;

**2.1.3.3. სახელობო განათლების ინსტრუქტორების მოსამზადებელი** საგანმანათლებლო პროგრამები (სასწავლო პრაქტიკა) მათი საგნობრივი კომპეტენციების გაზრდის მიზნით;

2.1.3.4. სახელობო განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამები მათი პედაგოგიური/ანდრაგოგიური კომპეტენციების გაზრდის მიზნით;

2.1.3.5. სასწავლო და პრაქტიკის გასვლული სტიპენდიები ან საგანმანათლებლო პროგრამები სახელობო განათლების მენეჯერებისათვის;

2.1.3.6. ადგილობრივი და საერთაშორისო მასწავლებელთა და მკვლევართა ასოციაციების/ჯგუფების ქსელების შექმნისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა.



54

**პრიორიტეტული მიმართულება 2.2 – სოციალური პარტნიორობის მექანიზმების ჩამოყალიბება რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის მიზნით**

სახელობო განათლებაში მნიშვნელოვანია სოციალური პარტნიორობის მექანიზმების ამოქმედება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთკავშირი სახელობო განათლების ყველა ეტაპზე: პროფესიული სტანდარტების შემუშავებიდან სახელობო განათლების აღიარებითა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში კვალიფიკაციათა და კომპეტენციათა განვითარების *ევროპის სოციალური დიალოგის, ასევე ევროპის სოციალური პარტნიორების* 2002 წელს მიღებული სამოქმედო ჩარჩოების მიხედვით, სოციალური პარტნიორები შეუცვლელ როლს ასრულებენ პროფესიული კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების განვითარებაში, ატესტაციასა და აღიარებაში ყველა დონეზე.[2]

ამ პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

2.2.1. სახელობო განათლებისა და მომზადების დარგობრივი საბჭოების შექმნა[3] და მათი საქმიანობის ხელშეწყობა;
2.2.2 დამსაქმებლებთან ერთად სამეწარმეო პრაქტიკის პირობებისა და წესების (მენტორობა, სასწავლო პროექტები, სტუდენტთა კომპეტენციების შეფასება) მომზადება.

[2] კოპენჰაგენის დეკლარაცია, 2002
[3] დარგობრივი საბჭო - ეროვნული საქმიანობის სახეების შესაბამისი დარგების მიხედვით არსებული საკონსულტაციო ჯგუფები (მონაწილეობით არსებობს სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან), რომლის შემადგენლობაში შედიან: პროფესიული საქმიანობის შესაბამისი სფეროს ექსპერტები, დამსაქმებლები, პროფესიული გაერთიანებების (ასოციაციები, კავშირები და სხვ.) წარმომადგენლები, სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლები, პროფესიული სწავლების ცენტრების, უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლები. დარგობრივი საბჭოების შემადგენლობა და ფუნქციები განისაზღვრება დარგობრივი საბჭოების დებულებით.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სახელობო განათლება | სახელობო განათლება | ხელმისაწვდომია სახელობო განათლება | პროვაიდერები |
| | პატიმართა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | | სულ მცირე 3 საპატიმრო დაწესებულებაში ხორციელდება სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები | | | საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება | | სახელობო განათლების დაფინანსების წესი მოიცავს გარკვეულ შეღავათებს სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებისათვის (ფორმალური და/ან არაფორმალური) განათლების მოკლევადიანი კურსები | | თითოეულ რეგიონში 50 დამატებითი სტუდენტი | თითოეულ რეგიონში 50 დამატებითი სტუდენტი | წელიწადში 100 ახალი სასწავლო ადგილი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები, პროფესიული განათლების პროვაიდერები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად |
| | არსებული სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების ინფრასტრუქტურის ადაპტაცია მოძრაობის უნარშეზღუდული ადამიანებისათვის | 15 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის სასწავლო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოძრაობის უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის | 5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის სასწავლო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოძრაობის უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის | 5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის სასწავლო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოძრაობის უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის | **საერთო რაოდენობით 25 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის სასწავლო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოძრაობის უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | საინფორმაციო სემინარი სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების პერსონალისა და სტუდენტებისათვის ინკლუზიური განათლების შესახებ | სულ მცირე 15 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის შერჩეული პერსონალი მონაწილეობდა სპეციალურ სემინარში | სულ მცირე 10 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის შერჩეული პერსონალი მონაწილეობდა სპეციალურ სემინარში | | გაზრდილია 25 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის პერსონალის ინფორმირებულობის დონე ინკლუზიური განათლების შესახებ | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | რეგიონის თემებისათვის, მოთხოვნის შესაბამისად, ადგილზე მოკლევადიანი არაფორმალური სახელობო კურსების შეთავაზება | | თითოეულ რეგიონში 50 დამატებითი სტუდენტი, დევნილ მოსახლეობაში მსურველთა სულ მცირე 30 %-ისათვის ხელმისაწვდომია | თითოეულ რეგიონში 50 დამატებითი სტუდენტი, დევნილ მოსახლეობაში მსურველთა სულ მცირე 40 %-ისათვის ხელმისაწვდომია | წელიწადში 500 (5%-ით მეტი) ახალი სასწავლო ადგილი, დევნილ მოსახლეობაში მსურველთა სულ მცირე 50 %-ისათვის | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები, პროფესიული განათლების |



**პრიორიტეტული მიმართულება 2.3 – ეროვნულ პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შემუშავება**

იმისათვის, რათა სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემამ უზრუნველყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული სპეციალისტების მომზადება, ის უნდა იყოს ორიენტირებული სწავლის შედეგებზე. კვალიფიკაციების გამართული სისტემის არსებობა კი სწორედ სწავლის შედეგებზე ორიენტაციის წინაპირობაა. კვალიფიკაციების სისტემა ასევე წარმოადგენს შრომის ბაზარზე მუშახელის მოთხოვნისა და მიწოდების ჰარმონიზაციის მექანიზმს. ის უზრუნველყოფს დამსაქმებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას ისეთ სამუშაო ძალაზე, რომელიც შეესაბამება დამსაქმებლის წარმატებული ფუნქციონირების ამოცანებს. ამავე დროს, გამართული საკვალიფიკაციო სისტემა ქვეყნის მოქალაქეებს უკეთესად დასაქმებასა და, შესაბამისად, თვითრეალიზაციაში ეხმარება.

ამ პრიორიტეტული მიმართულებით იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

2.3.1. პროფესიულ კვალიფიკაციათა მოქნილი და ადვილად გასაგები საერთო და დარგობრივი ჩარჩოების შექმნა:

2.3.1.1. შრომის ბაზრის რეგულარული კვლევისა და ანალიზის სისტემის ჩამოყალიბება (პროფესიული ცოდნის, პროფესიული და ზოგადი უნარების კვლევა) და კვლევების განხორციელება საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებსა და დამსაქმებელთა ასოციაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით;

2.3.1.2. საერთო და დარგობრივ კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონეების დესკრიპტორების ამსახველი დოკუმენტის შემუშავება;

2.3.1.3. პროფესიათა ნუსხის შექმნა;



55

2.3.1.4. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტანდარტების შემუშავების ხელშეწყობა;

2.3.1.5. პროფესიული სტანდარტების რეესტრის შექმნა და მათი პოპულარიზაცია მომხმარებლებს შორის.

**პრიორიტეტული მიმართულება 2.4 – ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და სტუდენტზე ორიენტირებული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და სრულყოფის სტიმულირება**

სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები უნდა იყოს მაქსიმალურად ორიენტირებული როგორც ქვეყნის ეკონომიკურ საჭიროებებზე, ისე სტუდენტის პიროვნული და პროფესიული განვითარების საჭიროებებზე და უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს: ფართო არჩევანის საშუალება, სწავლების ორიენტაცია შედეგებზე, შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა, სასწავლო-საწარმოო პარტნიორობის ხელშეწყობა, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, ორიენტაცია პრაქტიკაზე, რაც საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში სოციალური პარტნიორების ჩართულობის აუცილებლობაზე მეტყველებს.

ამ პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

2.4.1. ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და დანერგვა:

2.4.1.1. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის არსებობა (კორექტირება/შემუშავება);

2.4.1.2. მოდულური სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;

2.4.1.3. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება;

2.4.2. პროფესიული განათლების კრედიტების გაანგარიშების წესის შემუშავება;



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და ს ერთად |
| | სფეროში მოღვაწე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია | | ტარდება საკოორდინაციო შეხვედრები | ტარდება საკოორდინაციო შეხვედრები | ტარდება საკოორდინაციო შეხვედრები | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შესაბამის სამინისტროებთან (საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და სხვ.) და |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.3.3. სახელობო განათლებისა და მომზადების პროგრამების განხორციელება [illegible] | | | | | დონის ორგანიზაციები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| საპილოტო ადგილი | | განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა მიმართ პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა [illegible] | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შესაბამისი სამინისტროები (საქართველოს სახელმწიფო [illegible]) [illegible] |

41

2.4.3. სასწავლო და სამეწარმეო პარტნიორობის წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება:

2.4.3.1. სემინარი სასწავლო-სამეწარმეო საქმიანობის განვითარების საკითხებზე;

2.4.3.2. სოციალური რეკლამა;

2.4.3.3. თემატური ექსპოები (გამოფენები)/დასაქმების ბირჟები (პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარების ჩვენება);

2.4.3.4. დამსაქმებლებთან მუდმივი კონსულტაციების წარმოება მრჩეველთა საბჭოების ფორმირების სახით.

**პრიორიტეტული მიმართულება 2.5 – სახელობო განათლებისა და მომზადების ხარისხის შეფასებისა და ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვა**

სახელობო განათლებასა და მომზადებაში სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მუდმივი ზრდისთვის საჭიროა როგორც ხარისხის კონტროლის, ასევე ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების არსებობა.

კოპენჰაგენის პროცესი ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობას ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, რაც გულისხმობს მოდელებისა და მეთოდების, ასევე საერთო კრიტერიუმებისა და პრინციპების ურთიერთგაზიარებას სახელობო განათლებასა და მომზადებაში.[4] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების ხარისხის შემოწმებისა და უზრუნველყოფის სფეროში თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნებთან, მათ სახელობო განათლებისა და მომზადების პროვაიდერებთან და ხელს უწყობს სახელობო განათლებისა და მომზადების პროვაიდერებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შექმნასა და ამოქმედებაში, ასევე სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის საშუალებით ვგეგმავს განახორციელოს ხარისხის გარე კონტროლი.

[4] კოპენჰაგენის დეკლარაცია, 2002



57

ამ პრიორიტეტული მიმართულებით იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

2.5.1. სახელობო განათლებაში ხარისხის მართვის კონცეფციის შემუშავება;
2.5.2. პროფესიული სწავლების ცენტრში ხარისხის მართვის შიდა მექანიზმების ფორმირების სტიმულირება:
2.5.2.1. თვითშეფასების სახელმძღვანელოს შემუშავება;
2.5.2.2. პროფესიული სწავლების ცენტრების ადმინისტრატორთა ტრენინგი სახელობო განათლების ხარისხის მართვაში;
2.5.2.3. შიდა შემფასებლებისათვის ტრენინგების ჩატარება;
2.5.2.4 პროფესიული სწავლების ცენტრის ხარისხის მართვის პროცედურების პილოტირება სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრებში;
2.5.2.5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის განვითარების გეგმების შემუშავება და დამტკიცება მათი სამეთვალყურეო საბჭოების მიერ;
2.5.3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის მოსამზადებელი პროცესი:
სახელობო განათლების ხარისხის მართვის საგანმანათლებლო მოდულის შემუშავება.

**ამოცანა 3. თანამონაწილეობის პრინციპზე დამყარებული სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის მართვისა და ეფექტიანი და სამართლიანი დაფინანსების მოდელის ჩამოყალიბება**

საქართველოს ორიენტაცია საერთო ევროპულ ღირებულებებზე ასახება სახელობო განათლებისა და მომზადების სფეროზეც. აუცილებელი ხდება სოციალურ პარტნიორობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარება ყველა დაინტერესებულ სუბიექტთან და ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელშიც პროფესიული ასოციაციები, დამსაქმებლები, კერძო და სახელმწიფო პროვაი-



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების სახელოსნოების რეკონსტრუქცია/რე-მონტი და სათანადო დანადგარებით აღჭურვა | | სულ მცირე 2-5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის სახელოსნოები რეაბილიტირებული და აღჭურვილია | სულ მცირე 2-5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის სახელოსნოები რეაბილიტირებული და აღჭურვილია | სულ მცირე 2-5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის სახე-ლოსნოები რეაბი-ლიტირებული და აღჭურვილია | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები |
| | სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების ინტერნეტის ქსელში ჩართვა | | ყველა არსებული სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრი ჩართულია ინტერნეტში | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | 1.3.2. „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის" პროგრამის ფარგ-ლებში ფუნქციურად დაუტვირთავი უძრავი ქონების გასხვისება პროფესი-ული სწავლების ცენტრების დაფუძ-ნების მიზნით | | სულ მცირე 2-5 ახალი კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრი არსებობს | შეიქმნა სულ მცირე 500-1000 ახალი სასწავლო ადგილი | სულ მცირე 2-5 ახალი კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრი და 500-1000 სასწავლო ადგილი | კერძო პროვაიდერები, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის ინფრასტრუქტურული საჭიროებების შესწავლა | ძირითადი ინფრასტრუქტურული საჭიროებების აღწერილობითი სამუშაოები | ინფრასტრუქტურული საჭიროებები შესწავლილია | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების სასწავლო კორპუსებისა და სახელოსნოების სამშენებლო სარემონტო სამუშაოების შესრულება (ფასადების აღდგენა, სახურავების, კარ-ფანჯრების გამოცვლა, გათბობის სისტემების მონტაჟი) | | 2-5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაუმჯობესებულია | 2-5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაუმჯობესებულია | 2-5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაუმჯობესებულია | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები |
| სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა | | სულ მცირე 2-5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრი აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით და ტექნიკით | სულ მცირე 2-5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრი აღჭურვილია სასწავლო ინვენტარითა და ტექნიკით | სულ მცირე 2-5 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრი აღჭურვილია სასწავლო ინვენტარითა და ტექნიკით | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები |



დერები, პროფესიული კავშირები, სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციები და სახელმწიფო იღებენ ერთობლივ პასუხისმგებლობას სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარებაზე. ასეთი სისტემის არსებობის პირობებში, ყველა დაინტერესებული მხარე სრულფასოვან მონაწილეობას მიიღებს სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის მენეჯმენტში სხვადასხვა დონეზე და, ამავე დროს, გადაწყვეტილებების საჯაროობის, გამჭვირვალობისა და დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვით, გაზრდის მართვის ეფექტიანობას და ქმედითობას.

ამ ამოცანის ფარგლებში პრიორიტეტული მიმართულებებია:

პრიორიტეტული მიმართულება 3.1 – სახელობო განათლებისა და მომზადების ყველა დონეზე სოციალური პარტნიორობის პრინციპებზე დამყარებული მართვის მექანიზმების შექმნა და ამოქმედება;
პრიორიტეტული მიმართულება 3.2 – სახელობო განათლებისა და მომზადების ეფექტიანი და სამართლიანობაზე დაფუძნებული დაფინანსების მექანიზმების შექმნა და ამოქმედება.

**პრიორიტეტული მიმართულება 3.1 – სახელობო განათლებისა და მომზადების სოციალური პარტნიორობის პრინციპებზე დამყარებული მართვის მექანიზმების შექმნა და ამოქმედება**

სახელობო განათლებისა და მომზადების მართვაში სოციალური პარტნიორობის პრინციპი რომ უფრო ქმედითი გახდეს, ფუნქციები შემდეგნაირად უნდა გადანაწილდეს:

სახელმწიფო – სახელობო განათლებისა და მომზადების პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით; სახელობო განათლებისა და მომზადების სტრატეგიის ჩამოყალიბება და დამტკიცება; სახელობო განათ-

ლების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება; სექტორის მონიტორინგი და ეფექტიანობის შეფასება; შეფასების შედეგად გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრაზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება; სახელობო განათლების პროვაიდერთა აკრედიტაციის დებულების შემუშავება; პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავება და პროფესიული სტანდარტების რეგისტრაცია; სახელობო სპეციალობათა (მათ შორის, რეგულირებადი) ნუსხის დამტკიცება; უცხოური კვალიფიკაციების აღიარების პირობებისა და წესის შემუშავება; საატესტაციო ორგანოთა შერჩევის წესის, ასევე ატესტაციის პირობებისა და წესის დადგენა; სხვადასხვა სახის ნორმატივების მომზადება და დანერგვა; ხარისხიანი სახელობო განათლებისა და მომზადების უზრუნველყოფის ღონისძიებები; დონორების კოორდინაცია;

პროფესიული ასოციაციები და სხვა სოციალური პარტნიორები – სახელობო განათლებისა და მომზადების პოლიტიკის დაგეგმვაში მონაწილეობა; პროფესიული სტანდარტების შემუშავება; სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და კურსდამთავრებულთა სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობა; სახელობო განათლების სისტემასა და უშუალოდ სახელობო განათლების პროვაიდერთა მართვაში მონაწილეობა;

სახელობო განათლებისა და მომზადების პროვაიდერები – სახელმწიფო დაფინანსების შესაბამისად სტუდენტთა მომზადების უზრუნველყოფა (აქვთ ეკონომიკური საქმიანობის უფლებაც); სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება; ბიზნესსექტორთან კავშირების დამყარება საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით.

ამ პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1.2.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების/კომპონენტის მიწოდების სტიმულირება | | | | 100 სკოლა ახორციელებს სახელობო პროგრამებს არჩევითი მოდულის სახით | |
| | საპილოტე პროექტის - ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული სახელობო კომპონენტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელების ხელშეწყობა და შეფასება | სულ მცირე 20 ახალი სკოლა ერთვება საპილოტე პროექტში | სულ მცირე 40 ახალი სკოლა ერთვება საპილოტე პროექტში | სულ მცირე 40 ახალი სკოლა ერთვება საპილოტე პროექტში | | საქართველოს განათლებისა მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, სკოლები |
| პრიორიტეტული მიმართულება 1.3 - სახელობო განათლებისა და მომზადების ხელმისაწვდომობისა და მასში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა | 1.3.1. სახელობო განათლებისა და მომზადების პროვაიდერთა ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია-რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება | | | | სულ მცირე 6 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაუმჯობესებულია | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესაბამისი მექანიზმების დანერგვა | | | | | | |
| | საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის პერსპექტიული გზებისა და მექანიზმების ძიება და ანალიზი | არსებული სიტუაციის ანალიზი და ექსპერტის რეკომენდაციები ჩიხის აღმოფხვრის პერსპექტიულ გზებთან დაკავშირებით | | | | |
| | საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის პერსპექტიული გზებისა და მექანიზმების პილოტირება | | სულ მცირე 2 პროვაიდერის დონეზე ხდება თითოეული საპილოტე პროექტის განხორციელება | | | პროფესიული განათლების პროვაიდერები |
| | საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება | | | საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები კანონში | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი |
| | საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის პერსპექტიული გზებისა და მექანიზმების დანერგვა | | | | პილოტირების შედეგების საფუძველზე ინერგება ჩიხის აღმოფხვრის შერჩეული მექანიზმ(ებ)ის დანერგვა | საქართველოს განათლებისა მეცნიერების სამინისტრო |



3.1.1. სახელობო განათლებისა და მომზადების სექტორის მართვის სისტემის განვითარება:

3.1.1.1. სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს ჩამოყალიბება და ფუნქციონირება;

3.1.1.2. სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს დებულების შესაბამისად თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება;

3.1.2 პროფესიული სწავლების ცენტრების ავტონომიურობის ზრდის ხელშემწყობის მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება (სამეთვალყურეო საბჭოების ფორმირება და ამოქმედება):

3.1.2.1. პროფესიული სწავლების ცენტრებში სამეთვალყურეო საბჭოების ფორმირება და ამოქმედება;

3.1.2.2. პროფესიული სწავლების ცენტრებს შორის გამოცდილების გაზიარების ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

3.1.3. სახელობო განათლებისა და მომზადების სფეროში მოქმედი დონორი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია;

3.1.4. პროფესიული განათლების სფეროსთან დაკავშირებული უწყებების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, სსიპ – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, სსიპ – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი) ინსტიტუციური განვითარება;

3.1.5. სახელობო განათლებისა და მომზადების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება:

3.1.5.1. სახელობო განათლებისა და მომზადების მონიტორინგის მექანიზმების ფორმირება;

3.1.5.2. სახელობო განათლებისა და მომზადების სფეროს მმართველობითი გადაწყვეტილებების საინფორმაციო უზრუნველყოფა, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიის შემუშავება;

3.1.5.3. სტატისტიკური მონაცემების შეგროვების პროგრამული უზრუნველყოფა;



58

3.1.5.4. სახელობო განათლების პროვაიდერებში ინფორმაციის მიწოდებისათვის პასუხისმგებელ პირთათვის ტრენინგების ჩატარება მეთოდოლოგიასა და EMIS-ის პროგრამულ უზრუნველყოფაში;

3.1.5.5 სტრატეგიის განხორციელების წლიური მოხსენებები ქვეყნდება და განიხილება დაინტერესებულ მხარეებთან;

3.1.6. სახელობო განათლებისა და მომზადების სექტორის შესახებ კვლევების წახალისება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და არასამთავრობო, კვლევით ორგანიზაციებში და ამ პროექტებში პროფესიული სწავლების ცენტრების ჩართვის ხელშეწყობა.

**პრიორიტეტული მიმართულება 3.2 – სახელობო განათლებისა და მომზადების ეფექტიანი დაფინანსების მექანიზმების შექმნა და ამოქმედება**

„პროფესიული განათლების შესახებ" 2007 წლის 28 მარტის საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს მთავრობა ადგენს პროფესიული განათლების დაფინანსების წესს. ამ წესის შემუშავებამდე სახელმწიფო სახელობო განათლებას პროგრამულად აფინანსებს. სასურველია დაფინანსება მიბმული იყოს კონკრეტულ შედეგზე, რაც შესაძლებელია იყოს ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა პროფესიული სწავლების ცენტრებში სტუდენტების მიღების და მათ მიერ საგანმანათლებლო კურსის წარმატებით დასრულების, ასევე, მათი შემდგომი დასაქმების მაჩვენებლები.

სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემას სახელმწიფო ერთ სტუდენტზე გათვლილი ნორმატივის შესაბამისად დააფინანსებს. არაუგვიანეს 2011 წლის იანვრისა, დაიწყება ერთ სტუდენტზე გათვლილი ნორმატივით დაფინანსების პილოტირება პროფესიული სწავლების რამდენიმე ცენტრში. დაფინანსების ამ მოდელის წარმატების შემთხვევაში, ეს დაფინანსების მოდელი



## სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის

| ამოცანები და პრიორიტეტული მიმართულებები | ღონისძიებები | შუალედური შედეგი: 2009 | შუალედური შედეგი: 2010 | შუალედური შედეგი: 2011 | საბოლოო შედეგი: 2012 | შემსრულებელი პირი ან ორგანო |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამოცანა 1: სახელობო განათლებისა და მომზადების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოქალაქეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა | | | | | | |
| პრიორიტეტული მიმართულება 1.1 - სახელობო განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსება სტუდენტებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში | | | | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| პრიორიტეტული მიმართულება 1.2 - სახელობო განათლებაში არსებული საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის გზების ძიება და | 1.2.1. არსებული საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის გზებისა და მექანიზმების ძიება | | | საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრის გზა(ები) მოძიებულია | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრებში ფუნქციონირებენ სამეთვალყურეო საბჭოები;

შემუშავებული და ამოქმედებულია სახელმწიფო დაფინანსების განაწილების ახალი სისტემა; დაფინანსება ორიენტირებულია სახელმწიფო და რეგიონალურ დონეებზე არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებზე;

მოქმედებს სახელობო განათლების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა; ფუნქციონირებს ინფორმაციის რეგულარული შეგროვებისა და ანალიზის სისტემა, რომელშიც ჩართულია სახელობო განათლების ყველა ლიცენზირებული პროვაიდერი.



ამოქმედდება როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის სახელობო განათლების განმახორციელებელ ყველა აკრედიტებულ პროვაიდერში.

სახელმწიფო დაფინანსების მოდელის ჩამოყალიბებისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- სტუდენტის არჩევანის თავისუფლება;
- სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების ღირებულებებს შორის განსხვავებები;
- სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებები;
- საქართველოს ეკონომიკური (მათ შორის, რეგიონალური) განვითარების პრიორიტეტები.

დაფინანსების ახალი წესის მიზანია, ხელი შეუწყოს სახელობო განათლებისა და მომზადების პროვაიდერთა ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ასევე მათი ეფექტიანობის გაზრდას. სახელობო განათლების პროვაიდერს სახელმწიფო დაფინანსება აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოს დადგენილი რაოდენობის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სტუდენტთა მომზადება. დაფინანსების ახალი წესით განხორციელება ორიენტირებული იქნება ცალკეული სოციალური ჯგუფებისათვის სახელმწიფო დაფინანსებით სახელობო განათლებისა და მომზადების უზრუნველყოფაზეც.

ამ პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

3.2.1. პროფესიული სწავლების ცენტრებში სტუდენტების მიღებისა და დაფინანსების წესის შემუშავება და ამოქმედება:
3.2.1.1. სახელობო განათლების მსურველთა მიღებისა და დაფინანსების კონცეფციის შემუშავება;
3.2.1.2. მოთხოვნად სახელობო პროფესიებში განათლებისა და მომზადების ღირებულების გამოთვლა;
3.2.1.3. დაფინანსების მოდელის პილოტირება და შეფასება.



59

**პილოტირების შედეგები 2012 წლის ბოლოსათვის**

**სახელობო განათლებისა და მომზადების ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა პროფესიული განვითარება**

სულ მცირე 6 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის სასწავლო ინფრასტრუქტურა რეაბილიტირებული და აღჭურვილია;

სახელობო განათლებისა და მომზადების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებული საჭიროების სტუდენტთათვის იზრდება;

არსებობს სახელობო განათლების პროგრამები სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისათვის; 25 სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრის სასწავლო ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია უნარშეზღუდული ადამიანების საჭიროებებისათვის;

პროფესიული სწავლების ცენტრებში ფუნქციონირებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის სამსახურები;

ყველა პოტენციურ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია ყველა არსებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

ჩამოყალიბებულია და რამდენიმე სფეროში ფუნქციონირებს წინმსწრები განათლების აღიარების სისტემა.

**სახელობო განათლებისა და მომზადების ხარისხი**

ჩამოყალიბებულია პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა;

არსებობს პროფესიულ კვალიფიკაციათა საერთო და დარგობრივი ეროვნული ჩარჩოები;



შექმნილია პროფესიული სტანდარტების რეესტრი (რეგისტრირებულია სულ მცირე 120 სტანდარტი);

რეგულარულად ტარდება კვლევები პროფესიებზე შრომის ბაზრის მოთხოვნების დასადგენად;

სულ მცირე 80 სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა არის მოდულური და კრედიტებში დაანგარიშებული და დამტკიცებული;

სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრებს აქვს ლიცენზირების პირობების შესაბამისი სასწავლო მასალები და სახელმძღვანელოები; სახელობო განათლების სხვადასხვა დარგში არსებობს სულ მცირე 30 დასახელების თანამედროვე სახელმძღვანელო;

შექმნილია სახელობო განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა ბაზა და მასწავლებელთა 75%-ს აქვს გავლილი პროფესიული ტრენინგები და/ან სასწავლო პრაქტიკა პედაგოგიურ და საგნობრივ უნარებში;

სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრების ადმინისტრაციებს გავლილი აქვთ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები;

პროფესიული სწავლების ცენტრებში დამკვიდრებულია თვითშეფასების პრაქტიკა; სულ მცირე 80% სსიპ-ის ფორმის პროფესიული სწავლების ცენტრებისა მონაწილეობს თვითშეფასებაში.

**სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის მართვა და დაფინანსება**

ჩამოყალიბებულია სახელობო განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო, რომელიც აერთიანებს სახელობო განათლების დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს;